

განხილულია

დამტკიცებულია

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“

ადმინისტრაციული საბჭოს მიერ

დირექტორის ბრძანებით № 70 12.12. 2014 წ.

ოქმი № 3 9.12.2014 წ.

დირექტორი ვ. კვიციანი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „პანაცეას“

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“ (შემდგომში „კოლეჯი“) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - ექთანი.
2. ექთანი უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.
3. საზოგადოებრივი კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტებით. მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმების კონტროლს ახორციელებს კოლეჯის ექთანი.
4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის ექთნის საკონტაქტო მობილურის/ტელეფონის ნომერი.

5. სატელეფონო შეტყობინებას პროფესიული სტუდენტის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე ახორციელებს აუდიტორიაში მყოფი მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე სტუდენტი.
6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება ექთნის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები.

მუხლი 3. ექთნის უფლება მოვალეობები

1. ექთანი უფლებამოსილია:

- 1.1. კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტების ან/და სამედიცინო ინვენტარის შექმნა (მაგ. წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, პირადი ჰიგიენის ნივთები და განსაზღვროს პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ნუსხა) აკონტროლოს მათი ხარისხი, შენახვა და გაცემა;
- 1.2. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, გაათავისუფლოს პროფესიული სტუდენტი გაკვეთილებიდან, სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და დაუკავშირდეს მშობელს ან მოახდინოს მისი ჰოსპიტალიზაცია;
- 1.3. განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

2. ექთანი ვალდებულია:

- 2.1. უზრუნველყოს კოლეჯის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება.
- 2.2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და თანამშრომლებს. ქმედუუნარო პირის შემთხვევაში, მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დროულად მიაწოდოს კანონიერ წარმომადგენელს.
- 2.3. უზრუნველყოს კოლეჯის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი კოლეჯის სველიწერტილების, შენობის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ეზოს დასუფთავებაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს დირექტორსა და დირექტორის მოადგილეს.

- 2.4. უზრუნველყოს და აკონტროლოს სამედიცინო ინენტარისა და მედიკამენტების ვარგისიანობა, მათი ხარისხი, შენახვა და გაცემა;
- 2.5. კოლეჯის პირველადი დახმარების საშუალებებზე, მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექთანს.
- 2.6. უზრუნველყოს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.
- 2.7. ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს განხილვის შემდეგ, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

დირექტორის ბრძანება N70 12.12.2014 წ.

§

საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“ პროფესიულ სტუდენტებისთვის, თანამშრომელებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და შპს საზოგადოებრივ კოლეჯი „პანაცეას“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯი „პანაცეას“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი.

ლალი ყაველაშვილი და გერგედავა მია დაინიშნონ ექთნებად, საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“ პროფესიულ სტუდენტებისთვის, თანამშრომელებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და შპს საზოგადოებრივ კოლეჯი „პანაცეას“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად.

დირექტორის ბრძანება 35 21. 08.2015 წ.

D sazogadoebriv kolej „panceaSi” wesrigis uzrunvelsayofad და სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვის მიზნით damtkicdes 2015-2016 saswavlo wlisaTvis morigeobis grafiki შემდეგი შემადგენლობით:

1. მია გერგედავა (Iკორპუსი)
2. ია იმერლიშვილი (Iკორპუსი)
3. მარინე ქურდაშვილი (IIკორპუსი)
4. ლია ჟვანია (IIკორპუსი)

